



კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

კარიერული მხარდაჭერის სერვისები

დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება შპს „კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის სერვისები და მექანიზმები.
- 1.2. უნივერსიტეტი კარიერული მხარდაჭერის სერვისებისა და მექანიზმების არსებობა ემსახურება სტუდენტებში პრაქტიკული, კლინიკური უნარების განვითარებას და პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტების დასაქმების ალბათობას და შესაძლებლობებს.
- 1.3. უნივერსიტეტი სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის პროცესს კოორდინირებას უწევს სტუდენტური სერვისების და მხარდაჭერის სამსახური, რომელიც უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, ცდილობს სტუდენტზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებას, რომლებიც მოიცავს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ მიმართულებებს.

2. კარიერული მხარდაჭერის სერვისები და მექანიზმები

- 2.1. უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების გათვალისწინებით, კარიერული მხარდაჭერის სერვისები და მექანიზმები მოიცავს:
 - სტუდენტური განათლების პროექტების მხარდაჭერას;
 - სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა პროექტებს;
 - სტუდენტური კლუბების მხარდაჭერას;
 - კლინიკური სწავლების ხელშეწყობას;
 - საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას;
 - პროფესიული განვითარების მასტერკლასების ორგანიზებას ან/და სხვა ასეთ პროექტებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობას.

3. სტუდენტური განათლების პროექტების მხარდაჭერა

- 3.1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებში საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას პროექტების ორგანიზების, დაფინანსების და ხელშეწყობის კუთხით. განათლების პროექტების განხორციელება შეიძლება უკავშირდებოდეს არა მხოლოდ პროფესიული უნარების, არამედ ზოგადი უნარებისა და ცოდნის განვითარებას.

4. სტუდენტების დასაქმების პროექტები

- 4.1. სამედიცინო განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტების დასაქმება პროფესიული კუთხით ობიექტურ ბარიერებთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სტუდენტების მოხალისეებად ჩართვას კლინიკების საქმიანობაში, მათ შორის, რეგიონებშიც.
- 4.2. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებისთვის სტუდენტურ სამუშაოებზე ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.
- 4.3. უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს და სტუდენტებს სთავაზობს ტრენინგ-კურსებს დასაქმებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებისთვის (როგორცაა CV-ის შემუშავება,

გასაუბრების უნარ-ჩვევები და სხვა).

- 4.4. უნივერსიტეტი ხელს უწყობს დამსაქმებლების ინტერესებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლების შეთავაზებას სტუდენტებისთვის, რისთვისაც უნივერსიტეტი ცდილობს დამსაქმებლებთან დაამყაროს და შეინარჩუნოს აქტიური კომუნიკაცია.

5. სტუდენტური კლუბების მხარდაჭერა

- 5.1. უნივერსიტეტში სტუდენტური კლუბების არსებობა სტუდენტური თვითორგანიზების და აქტივობის ხელშეწყობის მექანიზმია.
- 5.2. სტუდენტურ კლუბებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს სტუდენტებში კარიერული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ზოგადტრანსფერული უნარების განვითარებას.
- 5.3. სტუდენტური კლუბების დამოუკიდებლობის გარანტიებისა და უნივერსიტეტის მხრიდან მათი ხელშეწყობის რეგულაციები დადგენილია უნივერსიტეტის დებულებით.

6. კლინიკური სწავლების ხელშეწყობა

- 6.1. რამდენადაც თანამედროვე სამედიცინო განათლება ინტეგრაციის პრინციპზეა დაფუძნებული, რაც გულისხმობს ადრეული კლინიკური პრაქტიკის გავლას სწავლების პირველივე ეტაპზე, უნივერსიტეტის ამოცანაა, ხელი შეუწყოს სტუდენტებში კლინიკური განათლების მიღებას და მუდმივად იზრუნოს პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების რიცხოვნობაზე და ხარისხობრივ ზრდაზე. ამ მიზნით უნივერსიტეტი ხელს უწყობს დამატებითი სამედიცინო დაწესებულებების მოძიებას და მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას.
- 6.2. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, სტუდენტებს საკუთარი ინტერესის შესაბამისად მისცეს არჩევანის შესაძლებლობა, კლინიკური სწავლების ფარგლებში შეარჩიონ მათი ინტერესების რელევანტური სამედიცინო დაწესებულება, დაწესებულებების მრავალფეროვანი ჩამონათვალიდან და შუამდგომლობს (რეკომენდაციას უწევს) სტუდენტს დამატებით კლინიკურ აქტივობაში ჩასართავად.

7. საერთაშორისო მობილობა

- 7.1. უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციასა და თანამშრომლობას, მათ შორის კი პრიორიტეტული მიმართულება სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვაა, რაც, თავის მხრივ, სტუდენტების მომავალი კარიერული განვითარების და, შესაბამისად, დასაქმების მაღალ მაჩვენებელს უზრუნველყოფს.
- 7.2. სტუდენტების საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობა ასევე უზრუნველყოფილია კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ემორის უნივერსიტეტს (აშშ) შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

8. პროფესიული განვითარების მასტერკლასების ორგანიზება.

- 8.1. რამდენადაც კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია განგრძობადი პროფესიული განვითარება, უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებისთვის წარმატებული მკვლევარების, პრაქტიკოსი ექიმების, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მასტერკლასების ორგანიზებას, სტუდენტებისთვის უახლესი ცოდნისა და საუკეთესო

საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას.

